

# „აკად. გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის“

## ეთიკის კოდექსი

### 1. პრეამბულა

- 1.1. შპს „აკად. გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის“ ეთიკის კოდექსის (შემდგომში - კოდექსი) მიზანია სამედიცინო პრაქტიკის ჰუმანიზაცია, პაციენტის უფლებების, მათი ღირსებისა და პიროვნული ავტონომიის დაცვის ხელშეწყობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში საყოველთაოდ აღიარებული ეთიკური ნორმების დაცვის გზით.
- 1.2. მოწოდებულია ხელი შეუწყოს ცენტრის მისიის - „მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებით შეპყრობილ პაციენტთათვის მტკიცებულებით მედიცინასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პრევენციული, დიაგნოსტიკური, სამკურნალო და სარეაბილიტაციო სერვისების სრული ციკლის მიწოდების გზით“ - განხორციელებას.
- 1.3. კოდექსი ეფუძნება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში დასაქმებული პროფესიონალების ქცევის ეთიკური ნორმების შესახებ.

### 2. ზოგადი დებულებანი

- 2.1. ცენტრის უკლებლივ ყველა თანამშრომლის უზენაესი მოვალეობაა ინდივიდის, ოჯახისა და მთლიანად საზოგადოების ჯანმრთელობაზე ზრუნვა.
- 2.2. მოქალაქეებთან, პაციენტებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას ეთიკური და ზნეობრივი ნორმები.
- 2.3. თანამშრომელმა არ უნდა გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია პაციენტის შესახებ.
- 2.4. თანამშრომელი ვალდებულია პირნათლად შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებითა და სამუშაოს აღწერილობით განსაზღვრული საქმიანობა.

2.5. თანამშრომელი ვალდებულია იმოქმედოს იმ უმაღლესი სტანდარტებით და პიროვნული ქცევის წესებით, რაც შესაბამეა ცენტრის მიერ აღიარებულ ვალდებულებებს და ტრადიციებს. საკუთარი თავის, კოლეგების, პაციენტების უხერხულ სიტუაციაში ჩაყენების თავიდან აცილების მიზნით, თანამშრომლებმა თავისი ქმედებებით არ უნდა გამოიწვიონ ინტერესთა კონფლიქტი, რისთვისაც უნდა იმოქმედონ ქცევის უმაღლესი სტანდარტებით.

2.6. პიროვნული ქცევის მაღალი სტანდარტები თითოეული თანამშრომლისაგან მოითხოვს გულწრფელობას, პატივისცემას და კეთლისინდისიერებას მთლიანად საზოგადოების, მისი თითოეული წევრის და კოლეგების მიმართ განურჩევლად მათი მდგომარეობისა.

2.7. ცენტრის ყველა თანამშრომელი ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სხვა თანამშრომლებს და მესამე პირებს მის ხელთ არსებული საშუალებებით აღმოუჩინოს აუცილებელი დახმარება სამსახურებრივ საკითხებზე, თუ ამ თანამშრომელს:

- არ შეუძლია თვითონ განახორციელოს მოქმედება სამართლებრივი ან ფაქტობრივი მიზეზების გამო;
- არ გააჩნია მოქმედების შესასრულებლად აუცილებელი ფაქტების საკმარისი ცოდნა, ხოლო ამ ცოდნას ფლობს თანამშრომელი, რომელსაც მან მიმართა;
- დოკუმენტები ან სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც აუცილებელია საკითხის გადასაწყვეტად, იმყოფება თანამშრომელთან, რომელსაც მან მიმართა.

2.8. დაუშვებელია თანამშრომლის მხრიდან ნებისმიერი სახის საზღაურის გადახდა ან მიღება მხოლოდ სხვისი რეკომენდაციით ან მიმართვით პაციენტის მიღებისთვის, პაციენტის სხვა სპეციალისტთან გაგზავნისთვის, ან ნებისმიერი სხვა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა);

2.9. დაუშვებელია თანამშრომლის მხრიდან ცენტრის დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელის ჩადენა და ისეთი ქმედებები, რომლებიც აფერხებს და/ან ზიანს აყენებს ცენტრის საქმიანობას.

2.10. თითოეული თანამშრომელი ვალდებულია უზრუნველყოს ცენტრში ერთი პირის მიერ მეორე პირის დისკრიმინაციის ან ძალადობის პირდაპირი გამოვლენის ფაქტების თავიდან აცილება.

2.11. ცენტრის ყველა თანამშრომელი მოწოდებული უნდა იყოს დაამყაროს ნდობაზე აგებული კავშირი საზოგადოებასთან, სადაც ხაზგასმული იქნება სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხი, მისი პრაქტიკული მნიშვნელობა, სოციალური სამართლიანობა და ეთიკური ნორმები.

### 3. ექიმის ეთიკა

3.1. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისთვის ცენტრის ექიმების საქმიანობის ღირსეულად წარმართვის საფუძველია:

- მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული „ჟენევის დეკლარაცია“ (დანართი 1);
- „სამედიცინო ეთიკის საერთაშორისო კოდექსი“ (დანართი 2);
- „საქართველოს ექიმის ეთიკის კოდექსი“ (დანართი 3).

#### 4. ექთნის ეთიკა

4.1. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისთვის ცენტრის ექთნებისა და ექთნის თანაშემწეების საქმიანობის ღირსეულად წარმართვის საფუძველია „საექთნო ეთიკის საერთაშორისო კოდექსი“ (დანართი 4).

#### 5. ადმინისტრაციული პერსონალის ეთიკა

5.1. ცენტრის ადმინისტრაციულ პერსონალს გააჩნია განსაკუთრებული ეთიკური პასუხისმგებლობა, რომელთა სამაგალითო ქცევასა და ორგანიზაციის საქმიანობით დაინტერესებულ მხარეთა (პაციენტები, თანამშრომლები, ფარმაცევტული პრეპერატების, სამედიცინო დანიშნულების საგნების, აღჭურვილობისა და სხვა მატერიალური რესურსებისა თუ მომსახურების მომწოდებლები) პატივისცემაზე გადამწყვეტი გავლენა აქვს სამედიცინო მომსახურების ხარისხზე, პაციენტთა და პერსონალის უსაფრთხოებაზე, ორგანიზაციის მდგრადობასა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე.

5.2. ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელი ყოველთვის უნდა ამკვიდრებდეს პროფესიული საქმიანობის უმაღლეს სტანდარტებს.

5.3. ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლის პასუხისმგებლობა პაციენტების მიმართ გამოიხატება:

- პაციენტთა პატივისცემასა და მათი ღირსების დაცვის უზრუნველყოფაში;
- პაციენტთა განათლების, საკუთარ ჯანმრთელობაზე რეალური მზრუნველის როლის შესრულების ხელშეწყობაში;
- თითოეული პაციენტისთვის სამედიცინო ინფორმაციაზე წვდომისა და მისი მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში.

5.4. ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლის პასუხისმგებლობა დამსაქმებელი ორგანიზაციის მიმართ გამოიხატება:

- დაწესებულების ეკონომიკური სტაბილურობისთვის მუშაობაში, რათა შესაძლებელი იყოს სამედიცინო მომსახურების ხარისხის მაღალი დონის შეინარჩუნება;
- ორგანიზაციის ფასეულობების, მისი შიდა და გარე ვალდებულებების შესრულების აქტიურ მხარდაჭერაში;
- პაციენტთა, პერსონალისა და აღჭურვილობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;

- ინოვაციური მეთოდების განვითარებასა და დანერგვაში, როგორც სამედიცინო, ისე მენეჯმენტის მიმართულებით;
- ჯანმრთელობის დაცვის სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პროგრამების დანერგვაში.

5.5. ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლის ეთიკური პასუხისმგებლობა ორგანიზაციის თანამშრომელთა მიმართ გამოხატება:

- თითოეული თანამშრომელის მიერ სამუშაოს შესრულებისთვის კომფორტული და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფაში;
- პერსონალის განვითარებისა და სამსახურებრივი წინსვლის ხელშეწყობაში.

5.6. ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლის პასუხისმგებლობა გარემოსა და საზოგადოების მიმართ გამოიხატება:

- ორგანიზაციის საქმიანობის ეკოლოგიური და სოციალური ზეგავლენის გამოვლენაში, ანალიზის გაკეთებასა და მის დარეგულირებაში;
- ორგანიზაციის საზოგადოებაში ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ინტეგრაციაზე მიმართულ საქმიანობაში;
- მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებაში.

დანართი 1.

### „ქენევის დეკლარაცია“

მიიღებულია მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის გენერალურ ასამბლეის მიერ,  
ქენევა, შვეიცარია, 1948 წლის სექტემბერი

განახლებულია:

- 22-ე მსოფლიო სამედიცინო ასამბლეის მიერ, სიდნეი, ავსტრალია, 1968 წლის აგვისტო;
- 35-ე მსოფლიო სამედიცინო ასამბლეის მიერ, ვენეცია, იტალია, 1983 წლის ოქტომბერი;
- მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის 46-ე გენერალურმა ასამბლეის მიერ, სტოკჰოლმი, შვედეთი, 1994 წლის სექტემბერი.

ვხდები რა სამედიცინო პროფესიის წარმომადგენელი, საზეიმოდ ვფიცავ:

ჩემი ცხოვრება მიუძღვნა ადამიანის სამსახურს;

ღირსეული პატივი და მადლიერება მივაგო ჩემს მასწავლებლებს;

კეთილსინდისიერად და ღირსეულად შევასრულო ჩემი პროფესიული მოვალეობა;

პაციენტის ჯანმრთელობა გავიხადო ჩემს უმთავრეს საზრუნავად;

შევინახო ჩემთვის მინდობილი საიდუმლო პაციენტის სიკვდილის შემდეგაც კი;

შემღებისდაგვარად დავამკვიდრო საექიმო პროფესიის კეთილშობილური ტრადიციები;

კოლეგები მივიჩნიო ძმებად და დებად;

არ დავუშვა პაციენტის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, აღმსარებლობის, რასის, სქესის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულებების, სექსუალური ორიენტაციის, სოციალური მდგომარეობის ზეგავლენა ჩემი პროფესიული მოვალეობის აღსრულებაზე;

კვლავაც უსაზღვრო პატივი ვცე ადამიანის სიცოცხლეს მისი ჩასახვისთანავე, ვერავითარმა ძალამ ვერ მაიძულოს გამოვიყენო სამედიცინო ცოდნა კაცთმოყვარეობის კანონების წინააღმდეგ;

ამ აღთქმას ვდებ საზეიმოდ, ნებაყოფლობით და უანგაროდ.

## სამედიცინო ეთიკის საერთაშორისო კოდექსი

მიღებულია მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის გენერალური ასამბლეის მიერ, ლონდონი, ინგლისი, 1949 წლის ოქტომბერი

განახლებულია:

22-ე მსოფლიო სამედიცინო ასამბლეის მიერ, სიდნეი, ავსტრალია, 1968 წლის აგვისტო;

35-ე მსოფლიო სამედიცინო ასამბლეის მიერ, ვენეცია, იტალია, 1983 წლის ოქტომბერი.

### ექიმის ზოგადი მოვალეობები:

ექიმი ყოველთვის უნდა ამკვიდრებდეს პროფესიული საქმიანობის უმაღლეს სტანდარტებს;

ფინანსურმა ინტერესებმა არ უნდა მოახდინონ გავლენა დამოუკიდებელი და თავისუფალი, პაციენტის ინტერესების შესაბამისი პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებაზე;

ექიმი, მიუხედავად საქმიანობის სახისა, სამედიცინო დახმარებას უნდა ატარებდეს თავდადებით, სრული ტექნიკური და მორალური დამოუკიდებლობით, თანაგრძნობითა და ადამიანის ღირსების პატივისცემით;

ექიმი პატიოსანი უნდა იყოს პაციენტებთან და კოლეგებთან ურთიერთობაში, უნდა ებრძოდეს სხვა ექიმების პროფესიულ და პიროვნულ ნაკლს, უნდა ამხელდეს სიცრუესა და თაღლითობას.

### არაეთიკურად უნდა იქნეს მიჩნეული:

ა) თვითრეკლამა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს დაშვებულია მოცემული ქვეყნის კანონმდებლობით და ეროვნული სამედიცინო ასოციაციის ეთიკური კოდექსით;

ბ) ნებისმიერი სახის საზღაურის გადახდა ან მიღება მხოლოდ სხვისი რეკომენდაციით ან მიმართვით პაციენტის მიღებისთვის და პაციენტის სხვა სპეციალისტთან გაგზავნისათვის;

ექიმმა პატივი უნდა სცეს პაციენტის, კოლეგების, სხვა სამედიცინო პერსონალის უფლებებს, აგრეთვე, არ უნდა გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია პაციენტის შესახებ. იმ შემთხვევებში, თუ ექიმი იყენებს სამედიცინო დახმარების ისეთ ფორმებს, რომელთაც შეიძლება გააუარესონ პაციენტის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობა, ექიმმა უნდა იმოქმედოს მხოლოდ პაციენტის ინტერესების შესაბამისად;

ექიმმა უნდა გამოიჩინოს უდიდესი სიფრთხილე აღმოჩენების, ახალი ტექნოლოგიების ან სამკურნალო მეთოდების არაპროფესიული არხებით გავრცელებისას;

ექიმმა უნდა დაადასტუროს მხოლოდ ის, რაც თავად შეამოწმა.

## **ექიმის მოვალეობები ავადმყოფის წინაშე:**

ექიმს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ იგი მოვალეა დაიცვას ადამიანის სიცოცხლე;

ექიმი მოვალეა უერთგულოს პაციენტს და მთელი თავისი ცოდნა მოახმაროს მას. თუ ექიმს არა აქვს გამოკვლევის ან მკურნალობის საშუალება, მან საამისოდ უნდა მოუხმოს სხვა ექიმს, რომელსაც ეს შესაძლებლობა გააჩნია;

ექიმმა საიდუმლოდ უნდა შეინახოს ყოველივე თავისი პაციენტის შესახებ, ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგაც კი;

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ექიმის ჰუმანიტარული მოვალეობაა იმ შემთხვევაში, თუ იგი არ არის დარწმუნებული, რომ ასეთი დახმარების გაწევის სურვილი ან შესაძლებლობა სხვებსაც გააჩნიათ.

## **ექიმების მოვალეობები ერთმანეთის წინაშე:**

ექიმი ისე უნდა მოექცეს თავის კოლეგებს, როგორც იგი ისურვებდა, რომ მას მოქცეოდნენ;

ექიმმა არ უნდა გადაიბიროს თავისი კოლეგების პაციენტები;

ექიმმა უნდა დაიცვას მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული „ჟენევის დეკლარაციის“ პრინციპები.

## საქართველოს ექიმის ეთიკის კოდექსი

მიღებულია საქართველოს ექიმთა კონგრესის მიერ,  
თბილისი, 2003 წლის 6 მაისი

### პრეამბულა

უფლება სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ადამიანის ბუნებითი - ფუძემდებელი უფლებაა.

ეს კოდექსი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის ექიმის საქმიანობის ღირსეულად წარმართვის საფუძველია. მასში ჩამოყალიბებული დებულებები იმისი წინაპირობაა, რომ სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას არ შეილახება პაციენტისა და ექიმის უფლებები და ღირსება.

საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრდა ექიმის პროფესიისათვის ტრადიციული ზნეობის კანონები, რომელთაგან მრავალი დღესაც ძალაშია. ამასთან, სამედიცინო მეცნიერების და ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ექიმს, პაციენტსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის ახალი წახნაგები წარმოაჩინა, რამაც გარკვეულწილად ახალი ეთიკური ნორმების ჩამოყალიბების აუცილებლობა განაპირობა.

### ზოგადი დებულებანი

1. ექიმის უზენაესი მოვალეობაა ინდივიდის, ოჯახის, მთლიანად საზოგადოების ჯანმრთელობაზე ზრუნვა.
2. საექიმო საქმიანობის აღსრულებისას ექიმის გზამკვლევაა მხოლოდ პროფესიული სტანდარტები და საყოველთაოდ აღიარებული ეთიკური ნორმები.
3. ექიმი განსაკუთრებულად ზრუნავს დაუცველ, მოწყვლად ადამიანებზე - ბავშვზე, მოხუცზე, სულით ავადმყოფზე, ხეიბარზე, მარტოხელაზე, მიუსაფარზე, პატიმარზე, ტყვეზე.
4. უკურნებელი სენით დაავადებული თუ სასიკვდილოდ განწირული ავადმყოფისათვის სათანადო სამედიცინო დახმარებას და სულიერ თანადგომას ექიმი აგრძელებს პაციენტის სიცოცხლის ბოლომდე.
5. ექიმი განუხრელად ზრუნავს საკუთარი შესაძლებლობებისა და არსებული რესურსების კეთილგონივრულად გამოყენებისათვის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად.
6. ექიმისათვის მიუღებელია პროფესიული ცოდნისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება არაჰუმანური მიზნებით.
7. ექიმი იცავს თავისი ქვეყნის საკანონმდებლო ნორმებს, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი ხელს უშლიან მას პროფესიული მოვალეობის აღსრულებაში, ძალღონეს არ იშურებს მათ შესაცვლელად.



8. პროფესიული ცოდნის განახლება და სრულყოფა, შესაბამისი უნარ-ჩვევების დახვეწა ექიმის ყოველდღიური საზრუნავია მთელი მისი პროფესიული საქმიანობის მანძილზე.
9. პაციენტთან, კოლეგასთან, საზოგადოებასთან ურთიერთობისას ექიმი სამართლიანი, უანგარო და კეთილგანწყობილია.
10. ექიმი თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ეხმიანება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემებს.

## ექიმი და პაციენტი

1. ექიმი პატივს სცემს პაციენტის პიროვნებას, მის კულტურულ, სულიერ და მორალურ და ფასეულობებს.
2. ექიმი თანაბარი გულისყურითა და მზრუნველობით ეპყრობა ყოველ პაციენტს უგამონაკლისოდ.
3. ექიმი აღიარებს პაციენტის უფლებას მონაწილეობდეს მისთვის (პაციენტისათვის) სამედიცინო დახმარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაში. ინფორმირებული თანხმობა პაციენტთან ურთიერთობის ფუძემდებელი პრინციპია.
4. ექიმი საიდუმლოდ ინახავს პაციენტის ჯანმრთელობასთან და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ ფაქტებს, პაციენტის სიკვდილის შემდეგაც კი, თუ საიდუმლოს გამჟღავნებას მას კანონი არ ავალეხს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ექიმი აცნობებს პაციენტს (ან მის ჭირისუფალს) საიდუმლოს გამჟღავნების განზრახვის შესახებ.
5. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აუცილებლობის ან სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის შემთხვევაში ექიმი შეძლებისდაგვარად ეხმარება ნებისმიერ ადამიანს არასამუშაო ადგილზეც.
6. არასრულწლოვანისათვის (ბავშვისათვის) სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას ექიმი შეძლებისდაგვარად ცდილობს მაქსიმალურად დაზოგოს ბავშვი და შეუქმნას მას უშფოთველი, ნაკლებად დამთრგუნველი გარემო, კეთილგანწყობილად ისმენს ბავშვის აზრს, რითაც გარკვეულწილად თანამონაწილედ იხდის მას.
7. ექიმს შეუძლია უარი თქვას ამა თუ იმ სახის სამედიცინო ჩარევაზე, თუ ასეთი ჩარევა ეწინააღმდეგება ექიმის მორალურ და კულტურულ ფასეულობებს და შესაძლებელია, რომ პაციენტს სამედიცინო დახმარება გაუწიოს სხვა ექიმმა. ამის შესახებ ექიმი აცნობებს კიდევაც პაციენტს.
8. ექიმი ცდილობს ისეთი სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც აუცილებელია პაციენტისათვის ადეკვატური სამედიცინო დახმარების გასაწევად.

## ექიმი და კოლეგა

1. ექიმი უფრთხილდება თავისი პროფესიის პრესტიჟს, ისევე როგორც ექიმსა და პაციენტს შორის დამკვიდრებულ ნდობას. იგი ისე წარმართავს საექიმო საქმიანობას, რომ ჩრდილი არ მიაყენოს თავის პროფესიას. ექიმი უყოყმანოდ უთითებს კოლეგას მის პროფესიულ

ნაკლსა და არაეთიკურ საქციელზე. საჭიროებისამებრ ექიმი კოლეგის საქმიანობაში შემჩნეულ პროფესიულ ნაკლს განსჯის კოლეგების წრეშიც. მიუღებელია სხვა ექიმის საექიმო შეცდომაზე საჯაროდ (სახალხოდ) მსჯელობა, თუ ამას კანონმდებლობა არ მოითხოვს.

2. ექიმი თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ყოველ ღონეს ხმარობს, რათა დაეხმაროს სხვა ექიმს პროფესიული მოვალეობის აღსრულებაში.
3. ექიმს გაცნობიერებული აქვს საკუთარი პროფესიული შესაძლებლობები. თუ მას აკლია სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ის დასახმარებლად სხვა ექიმს უხმობს.
4. ექიმი პაციენტს კოლეგასთან გზავნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებულია ამ უკანასკნელის კომპეტენციაში. ამასთან, კონსულტაციის წინ იგი კოლეგას აწვდის პაციენტის სათანადო სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ყველა ინფორმაციას.
5. ექიმი დაწვრილებით ინფორმაციას და დასკვნას აწვდის კოლეგას, რომელიც პაციენტს მასთან გზავნის საკონსულტაციოდ.
6. ექიმი ეხმარება კოლეგას, რომელიც ცდილობს იმოქმედოს პროფესიული ეთიკის უზენაესი პრინციპების შესაბამისად და რომელსაც აიძულებენ უგულვებელყოს აღნიშნული პრინციპები.

## **ექიმი - მკვლევარი**

1. მეცნიერული კვლევა ექიმის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია და მისი პროფესიული სრულყოფის საშუალებაა. კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ექიმი საყოველთაოდ აღიარებული სამეცნიერო პრინციპებით ხელმძღვანელობს. კვლევის ჩატარების დროს და მისი შედეგების გამოქვეყნებისას ექიმი ობიექტურია.
2. ადამიანზე მეცნიერული კვლევის წარმოებისას პაციენტის ინტერესები უზენაესია; კვლევის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები არც ერთ შემთხვევაში არ ახდენს გავლენას ექიმის ძირითად მოწოდებაზე - ემსახუროს პაციენტის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

## **ექიმი - მასწავლებელი**

1. ექიმი ზრუნავს კოლეგის, სხვა სამედიცინო პერსონალის, რეზიდენტის, სტუდენტის პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების სრულყოფისათვის.
2. სწავლების პროცესში ექიმი ყოველთვის ესაუბრება პაციენტს სწავლების მიზნებისა და მეთოდების შესახებ და წინასწარ იღებს მის თანხმობას. პაციენტის უარი სწავლების პროცესში მონაწილეობაზე არანაირ გავლენას არ ახდენს სამედიცინო დახმარების ხარისხსა და ექიმის დამოკიდებულებაზე პაციენტის მიმართ.

## **ექიმი და საზოგადოება**

1. ექიმი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია მისთვის ცნობილ იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მთლიანად საზოგადოების თუ მისი ცალკეული ჯგუფების ჯანმრთელობის გაუარესებას იწვევს და რომელთა თავიდან

აცილება შესაძლებელია; ამასთან, იგი თავადაც მონაწილეობს ამ გარემოებათა შეცვლის პროცესში.

2. ექიმი ეხმიანება სამედიცინო დახმარების საყოველთაო ხელმისაწვდომობის პრობლემას და, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მინიმუმამდე შეამციროს დაბრკოლებები სამედიცინო დახმარების მიღებისას.
3. სათაკილოა ექიმის მცდელობა, რეკლამა გაუწიოს წამალს, სამედიცინო დახმარებას ან სამედიცინო ხელსაწყოს. ამასთან, ექიმს შეუძლია მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია მის მიერ შეთავაზებული სამედიცინო დახმარების შესახებ, თუკი ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება და არ შეიცავს ექიმის პროფესიულ უპირატესობათა ამსახველ მასალას.

## საექთნო ეთიკის საერთაშორისო კოდექსი

მიღებულია ექთანთა საერთაშორისო საბჭოს მიერ 1953 წელს

განახლებულია: 2012 წელს.

### პრეამბულა

ექთანს გააჩნია ოთხი ფუნდამენტალური მოვალეობა: ჯანმრთელობის ხელშეწყობა, დაავადებათა პრევენცია, ჯანმრთელობის აღდგენა და ტანჯვის შემსუბუქება. მოთხოვნილება საექთნო საქმეზე უნივერსალურია.

საექთნო საქმეს ახასიათებს ადამიანის უფლებების, მათ შორის სიცოცხლისა და თავისუფალი არჩევანის უფლების, კულტურული ფასეულობების, ღირსებისა და გულისხმიერი მოპყრობის უფლების პატივისცემა. საექთნო ზრუნვა არ უნდა შეიზღუდოს პაციენტთა ასაკის, კანის ფერის, სარწმუნოების, კულტურის, შეზღუდული შესაძლებლობების ან ავადმყოფობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ეროვნების, რასის ან სოციალური სტატუსის გამო.

ექთნები სამედიცინო მომსახურებას უწევენ ინდივიდებს, ოჯახებსა და საზოგადოებას და კოორდინირებას უწევენ აღნიშნულ ან მათთან დაკავშირებული ჯგუფების მომსახურებას.

### კოდექსის ელემენტები

საექთნო ეთიკის საერთაშორისო კოდექსი შედგება ოთხი ძირითადი ელემენტისგან, რომლებიც ასახავენ ეთიკური ქცევის სტანდარტებს.

#### 1. ექთნები და ადამიანები

ექთნის უპირველესი პროფესიული მოვალეობაა იმ ადამიანებზე ზრუნვა, რომლებსაც ესაჭიროებათ საექთნო მოვლა.

მომსახურების მიწოდებისას ექთანი აუმჯობესებს გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების, ინდივიდის, ოჯახისა და თემის მორალური ფასეულობების, ტრადიციებისა და სულიერი რწმენის პატივისცემას.

ექთანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ინდივიდი მისთვის გასაგებ ენაზე ღებულობს ზუსტ, საკმარის და დროულ ინფორმაციას, რომელზე დაყრდნობითაც მას შეუძლია თანხმობის მიცემა მკურნალობისა და მასთან დაკავშირებული ჩარევის შესახებ.

ექთანი იცავს პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალობას და იყენებს საღ აზრს მისი გავრცელების აუცილებლობის შემთხვევაში.

ექთანი საზოგადოებასთან ერთად ინაწილებს პასუხსმგებლობას მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე მიმართული ქმედებების ინიცირებასა და მხარდაჭერაზე, განსაკუთრებით უმწეო მოსახლეობასთან მიმართებაში.

ექთანი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იცავს თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებს რესურსების განთავსებაში, ჯანმრთელობისა და სხვა სოციალური თუ ეკონომიკური სერვისებისადმი ხელმისაწვდომობაში.

ექთანი ამჟღავნებს ისეთ პროფესიულ ფასეულობებს, როგორცაა პატივისცემა, პასუხისმგებლობა, ანგარიშვალდებულება, თანაგრძნობა, საიმედოობა და ჩართულობა.

## **2. ექთნები და პრაქტიკა**

ექთანს გააჩნია პერსონალური პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება საექთნო პრაქტიკაზე და საკუთარი კომპეტენციის შენარჩუნებაზე უწყვეტი განათლების გზით.

ექთანი ცდილობს საკუთარი ჯანმრთელობის სტანდარტის შენარჩუნებას, რათა ხელი არ შეეშალოს სხვებზე ზრუნვის შესაძლებლობას.

ექთანი იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალური კომპეტენციის შესახებ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების ან სხვისთვის დელეგირების შემთხვევაში.

ექთანი მუდამ იცავს პერსონალური ქცევის სტანდარტებს, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ ექთნის პროფესიაზე და ზრდიან მის იმიჯსა და საზოგადოების ნდობას.

ექთანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ პაციენტზე ზრუნვის პროცესში გამოყენებული ტექნოლოგიები და სამეცნიერო მიღწევები თავსებადია უსაფრთხოებასთან, ღირსებასთან და ადამიანის უფლებებთან.

ექთანი ცდილობს ხელი შეუწყოს და შეინარჩუნოს პრაქტიკის კულტურა ეთიკური ქცევისა და ღია დიალოგის გზით.

## **3. ექთნები და პროფესია**

ექთანი წამყვან როლს ასრულებს საექთნო კლინიკური პრაქტიკის, მენეჯმენტის, კვლევებისა და განათლების მაღალი სტანდარტების განსაზღვრასა და დანერგვაში.

ექთანი პროფესიული ცოდნის გაღრმავების მიზნით აქტიურად მონაწილეობს მტკიცებულებებზე დამყარებულ პრაქტიკაზე მიმართულ კვლევებში.

ექთანი აქტიურად მონაწილეობს ძირითადი პროფესიული ფასეულებების განვითარებასა და მდგრადობის უზრუნველყოფაში.

ექთანი პროფესიულ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის გზით მონაწილეობს საექთნო საქმისთვის უსაფრთხო და სამართლიანი სოციალურ-ეკონომიკური სამუშაო პირობების შექმნასა და შენარჩუნებაში.

ექთანი ზრუნავს ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნებასა და დაცვაზე და აცნობიერებს მათ გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ექთანს საკუთარი წვლილი შეაქვს ორგანიზაციის ეთიკური ფასეულობების დაცვაში.

#### **4. ექთნები და თანამშრომლები**

ექთნებთან და სხვა პროფესიონალებთან ურთიერთობას ექთანი წარმართავს თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპზე დაყრდნობით.

ექთანი მიმართავს შესაბამის ქმედებს, თუ ინდივიდის, ოჯახის ან თემის ჯანმრთელობას ემუქრება რაიმე სახის საფრთხე თანამშრომლის ან ნებისმიერი სხვა პირის ქმედებების გამო.

ექთანი მიმართავს შესაბამის ქმედებას რათა ხელი შეუწყოს თანამშრომელთა მხრიდან ეთიკური ნორმების დაცვას.